ირპენში უკრაინის მართლმადიდებელ ეკლესიას ბოლო ტაძარი წაართვეს



სსკგ-ის კომუნიკაციის სამსახური, 20.09.2024. 2024 წლის 19 სექტემბერს, უკრაინის კიევის ოლქის ქალაქ ირპენში, „მეუ“-ს რეიდერთა ჯგუფმა ისარგებლა ქალაქის მერის – ალექსანდრე მარკუშინისა და პოლიციის მხარდაჭერით, და შეიჭრა და დაიპყრო წმინდა ნიკოლოზის ტაძარი და ქრისტეს აღდგომის სამლოცველო. ამის შესახებ **ტელეგრამ-არხ „Дозор“-ზე დაყრდნობით იუწყება** მჟკ.

„უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის მორწმუნეებს მთელს საკეთილმოწესეოში უკანასკნელი ტაძარი წაართვეს!“ – ნათქვამია შეტყობინებაში. მანამდე გავრცელდა ინფორმაცია **ყოვლადწმიდა სამებისა** და დიდმოწამე გიორგის სახელობის ტაძრების მიტაცების შესახებ.

კეთილმოწესე დეკანოზ ალექსანდრე ფედორიჩკოს ინფორმაციით, ბოროტმოქმედებმა ტაძარს საკეტები შეუცვალეს და გამოაცხადეს, რომ ამიერიდან ის „მეუ“-ს ეკუთვნის.

მანამდე, 28 ივნისს, სქიზმატური სტრუქტურის აქტივისტებმა უკანონო შეკრება მოაწყვეს და ტაძრის უფლებაზე საბუთები გააყალბეს.

წყარო: https://mospat.ru/ge/news/92268/